იბერიულ-კავკასიური ცივილიზაცია (წინარექრისტიანული საქართველოს ისტორიის რეკოსტრუქცია, ფრაგმენტი)



ალიკო ცინცაძე
ტ.მ.დ., სტუ-ს პროფ.

ცივილიზაცია ადამიანთა გენეტიკურ-მენტალური ერთიანობაა, რომელიც ადამიანის მოღვაწეობის, როგორც ყოფიერებით, ისე მსოფლმხედველობრივ სფეროებში თვისობრივად უსწრებს სხვებს და პროგრესულია. მისი განვითარების მამოძრავებელი ინფორმაციაა, რომლის კრიტიკული დონის გადალახვის შემდეგ იგი იწყებს ამ ცოდნის ექსპორტს. დღეისათვის ისტორიული განვითარების რამდენიმე ცივილიზაციური მოდელია ცნობილი. მათი ზოგადი სქემა ითვალისწინებს (ავტორი ბრიტანელი მეცნიერი ტოიმბი):

– ცივილიზაციის ჩასახვას, პრიმიტიული საზოგადოების მუტაციის შედეგებსა ან „დედა ცივილიზაციის“ ნანგრევებზე;

– ზრდას, სოციალურ სტრუქტურებად ჩამოყალიბებას;

– აყვავებას, რენესანს;

– დეკადანს;

– დაშლას, ამ დროს იგი ან აღიგვება პირისაგან მიწისა (მაგალითად, მაიას ცივილიზაცია), ან როგორც „დედა ცივილიზაცია“ სიცოცხლეს ახალ ცივილიზაციას აძლევს. მისგან რჩება ისევ ინფორმაცია, როგორც თესლი, და თუ ნოყიერი ნიადაგი შეხვდა, იგი ღვივდება და ახალ ცივილიზაციაში აღმოცენდება.

მხოლოდ უმაღლესი სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცივილიზაციას ძალუძს თავისი ნებით იქცეს „დედა ცივილიზაციად“ და მერმისში ხელახალი აღორძინების იმედი გააჩინოს. ასეთ პრეცედენტს არ იცნობდა ცივილიზაციის ისტორია; მაგრამ სწორედ ეს თვისებები აღმოაჩნდა იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციას, იგი პულსირებადი ცივილიზაციაა, აღწევს მაქსიმუმს და ვრცელდება, შემდეგ თითქოს ჩაქრება („დამარხულ არს“), მაგრამ რაღაც ეტაპზე აღსგება (როგორც ლაზარე), განვითარდება და მიაღწევს მაქსიმუმს („იბერია გაბრწყინდება“) და ა.შ.. ეს სრულიად უნიკალური მოდელია. ცოდნის ექსპორტი, ისევე როგორც რაღაც ეტაპზე იმპორტი, ამ ცივილიზაციის არსებობის აუცილებელი პირობა ხდება. ადამიანის მოღვაწეობის ყოფიერებით სფეროებში წინარექრისტიანულ საქართველოდან შემორჩენილი არქეოლოგიური მასალა ცივილიზაციისთვის მეტ-ნაკლებად საკმარის სურათს აჩენდა. ახლა, ძველ ქართულში მიგნებულმა ცოდნამ (ა. ცინცაძე) მსოფლმხედველობრივ-სარწმუნოებრივ სფეროში არსებული ვაკუუმი შეავსო, პირიქით, იქ კიდევ უფრო ნათელი სურათი შეიქმნა; ანუ ცივილიზაციის ყველა ატრიბუტი სახეზეა. მისი ხასიათიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, წინარექრისტიანული ზოგადქართული ცივილიზაცია დრო და დრო მიგრირებდა; მიიქცეოდა, მაგრამ მეორე მხრივ, როგორც ოკეანის ტალღა, უკან მოქცევით, იბრუნებდა, ივსებდა კიდეც დანაკლისს. საქართველო, როგორც დასავლური და აღმოსავლური კულტურების შესაყარზე აღმოცენებული ოაზისი, ახლაც ითვისებს, იღებს ახალს, და ამ კულტურათა სინთეზს ახდენს. პირველი ასეთი მძლავრი მიგრაციის ტალღა ძვ.წ.აღ. მეოთხე ათასწლეულის მახლობლობაში უნდა ვივარაუდოთ. რადგან „უეცრად“ აღმოცენდა შუა უდაბნოში საოცარი ცოდნის მატარებელი ხალხი, რომლის წინაპირობა არქეოლოგიურად არ ჩანს, ისეთი სიბრძნის კერა, რომელიც ლოგიკურად წარმოუდგენელია უდაბნოს შეექმნა. „**Во время**

Авраама шумерский язык в культурно-политической жизни Месопотамии, особенно южной ее части, Ура и Урука, еще жил ветхим просветленным старцем: это был язык цивилизации, в то время как аккадский был просторечием... Шумерский язык умер к концу 3-го тысячелетия до н.э... как и сам Шумер. Он умер как зерно, что дало богатые всходы. Он умер как отец, что оставил большое потомство - все мировые языки.“ (თ.გუდავა, „აბრაამიდან ადამამდე“)

კავკასიური (ხურიტული, შუმერულ-ქალდეური) ელემენტები მძლავრად იგრძნობა ძვ.წ.აღ. მეოთხე ათასწლეულშის ეგვიპტის „გერზეს კულტურაშიც“, რომელი კულტურის მატარებლადაც ჩანან პირამიდის ამშენებელი... ფარაონები და ქურუმები.“ („ქართველთა წარმოშობა“, ინტერნეტ-გამოცემა, გვ. 4), სწორედ ამ დროს უნდა მიეღოთ ეგვიპტელებს ცოდნა მზის მოძრავი კალენდრის თაობაზე (ა. ცინცაძე).

ძველი წელთაღრიცხვის მესამე-მეორე ათასწლეულებშიც კავკასიაში ჩნდება მიზეზები, რამაც მიგრაციული პროცესები გამოიწვია. „ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის დასა-სრულს დაახლოებით ოცდამეერთე საუკუნეში თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ისტორიაში დრამატული ძვრები მოხდა.“ (ჯ. ნადირაძე).

ერთ-ერთი ვერსიით (ვ.რაიმონდი, უ.პიტმანი) ატლანტიდა ხმელთაშუა და შავი ზღვის აკვატორიაში არსებობდა და მიგრაციული პროცესების დაწყება სწორედ წარღვნას, ამ დროს კი მის ჩაძირვას უკავშირდება. თუმცა ამ ჰიპოთეზის რეალური მტკიცება ჯერ არ მომხდარა. ბოლო დროინდელი ერთ-ერთი ჰიპოთეზა მიგრაციულ ნაკადის მიზეზს ხმელთაშუა ზღვის მიერ სრუტის გარღვევითა და შავი ზღვის ადგილზე არსებული ტბის აუზის შევსებით ხსნის. ამ ვერსიით ასეა წარმოქმნილი შავი ზღვის ფსკერზე აღმოჩენილი ნასახლარები. სპეციალისტთა შეფასებით ამ დროს ყოველდღიურად შემოსული წყლის ნაკადი ადამიანებს, დაახლოებით ერთი კილომეტრით ახევინებდა უკან, და ამ პანიკური უკანდახევისას აღმოჩნდა სწორედ შუამდინარეთში კავკასიური ხალხი. **“Халдея”, являлась иным именем Аратты (Арарата),** первой стоянки человечества после потопа, вновь заселенная разными народами... после Вавилонского столпотворения, - это историческая память шумеров... “халдеи” это чисто библейская (принятая и в эллинском мире) номинация сути Шумера. И захват халдеями (урцами) Вавилона, с созданием Ново-Вавилонии, с соответственным перенесением имени Халдея с Ура на Вавилон и на всю Южную Месопотамию... Аратта, включенная в единое ядро СМЕШЕНИЯ языков и народов вместе с Вавилоном, также была плавильным тиглем, произведшим на свет новую народность - “халдеев”, от которых произошли шумеры. И халдеями были как сыны Иафета, так и Хама и Сима (праотца шумера Авраама)… То, что Аратта в самом деле была “плавильным тиглем” народов говорит и одна из четырех логограмм, которыми обозначали слово “Аратта”... означает именно “плавильную печь”, “поташ” (кроме того, что Аратта, несомненно, была металлурги-ческим центром).“

„იაფეტის ორი შვილი თუბალი და მეშეხი (მოსხი, მესხი) ბიბლიაში ერთმანეთის გვერდით მოიხსენიება, იმიტომ, რომ ორივემ არარატის აკვნიდან კავკასიის მთებს მიაშურა. გარდა ამისა, თუბალი – მჭედელს ნიშნავს, რაც მთლიანად ემთხვევა შუმერულ პირველწყაროს (მეტ-ალუ-რგი)... შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ტყუპები იყვნენ. ჩვენ გვაქვს უდიდესი მასშტაბის თუბალ-მეშეხური განსახლება.“ (თ. გუდავა).

შემდეგ ნაკადს ძვ.წ.აღ. მეორე ათასწლეული დასასრულისთვის ა.ველტმანი აღწერს.

არსებული ჰემატრიული ინფორმაციის და ერთიანი ქურუმთა კასტის გათვალისწინებით მიგრაციის მიზეზი შესაძლოა კავკასიური გენის სულიერ მისიაში დავინახოთ, იყო თუ არა იგი გაცნობიერებული, სხვა საკითხია; დასაშვებია მისი დროში თანმიმდევრული ჩამოყალიბების ვერსიაც. „Библейское Mesheh в шумерской транскрипции - ME-SHEH - означает некую функцию - “мерить, измерять; делить; протягивать, тянуть(ся), протягиваться”. И припомним прямой перевод “вытягивать, вытаскивать”, что говорит о дальнем отрыве от араттской матки. Путь Мешеха понятен: через узкий проход между Кавказским горным хребтом и Черным морем. Реминисценцией в Грузии, возможно, и являются Месхи… Также некое единозвучие Мешех и Машиах говорит о том, что носители этого имени непременно **имеют мессианские амбиции.**“ (თ. გუდავა, „აბრაამიდან ადამამდე“).

„პროტოკოლხური ცივილიზაცია სამხრეთ შუამდინარეთის მიმართულებით ვრცელდება.“ (თ. მიქელაძე) როგორც ითქვა, ეს ერთჯერადი მიგრაციული ნაკადი არ იყო, იწყება კავკასიიდან სამხრეთისკენ კულტურული ექსპანსიის თანმიმდევრული პროცესი, მიდიან და მიაქვთ საოცარი კულტურა, ნათელხილვითი სიბრძნე, მსოფლმხედველობრივი სამყარო, ღმერთების, ადგილის „დედური ღვთაებრივი ძალისადმი თაყ-

ვანისცემა.“ მიდიან და მიაქვთ ქრისტეს მოძღვრების საფუძვლები, როცა თვით ქრისტე ჯერ ხორციელად მიწაზე მოვლენილი არაა. მიაქვთ მატერიალურიც: მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში არქეოლოგებმა (ინგლისელები: დ. ტეილორი, ლ. ვულლი, ჯ. სმიტი) „აღმოაჩინეს“ შუამდინარეთი, „შუმერულ-ქალ-დეური ცივილიზაცია“, მიწათმოქმედი ხალხის სამყარო, რომელიც ამოვარდნილი ჩანდა „დასავლეთის უდაბნოს მომთაბარე ტომების“ მისწრაფებებიდან, ტრადიციებიდან; აღმოაჩინეს, რომ ეს მიწათმოქმედი ხალხია, რომლის სიბრძნეს ვერ შექმნიდა უდაბნო, აქ ვხვდებით ხელოვნებამდე აყვანილ კერამიკას, მისი ტექნოლოგიის კულტურას, ვაზის ცოდნას და სიყვარულს, მნათობთა ტრიადას: მთვარე, მზე, ვენერა, მცირე ზომის გველ-ქალღმერთების კერპებს. „ლითონის მოპოვება და დამუშავება ჩვენი წინაპარი ქალდეველების მიერ უმაღლეს სრულყოფილებამდე იყო აყვანილი. ქსოვის, საფეიქრო და მეთუნეობის ხელოვნება ასევე იყო განვითარებული.“ (გვ. 49, კირიონი).

მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო მოვლენები ვითარდებოდა ეგვიპტეში. ბოლო პერიოდის გენეტიკურ-ანთროპოლოგიური მაღალალბათური იდენტობის გარდა დადასტურდა რეალური ფაქტებიც. არქეოლოგებმა 1864 წელს ეგვიპტეში მიაკვლიეს სტელას, სადაც მოთხრობილი იყო, რომ ჰიპოქსისთა მეფე სალიტისმა ძვ.წ.აღ. მეთვრამეტე საუკუნეში, 1720 წელს, დაიპყრო ეგვიპტე. ითვლებოდა, რომ ჰიქსოსები აზიური ტომების ჭრელი ჯგუფია (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია). მაგრამ როგორც უახლესმა გამოკვლევებმა დაადასტურეს მოლაშქრეთა ეს ჯგუფი ხურიტულ-იბერიულ-კავკასიური-ქალდეური წარმოშობის ტომებია.

„ხურიტულ-იბერიულ-კავკასიურ-ქალდეური განსახლების არეალი სხვადასხვა დროს მოიცავდა: კავკასიას, ზაგროსის მთებს (ირანი), მესოპოტამიას, სირიას, პალესტინას. **ეს არაინდოევროპულ, არაქამიტ ტომთა ერთობლიობაა. ხურიტული კულტურა პრაქტიკულად იდენტურია მტკვარ-არაქსის კულტურისა.** ხურიტების უშუალო მემკვიდრეა ურარტუ... ხურიტული გავლენა ერთობ ძლიერ იგრძნობა ქართველურ ენებში.“ („ქართველთა წარმოშობა“, ინტე-რნეტ-გამოცემა).

ჰიქსოსები კავკასიის მთიანეთიდან მივიდნენ ეგვიპტეში და მსოფლმხედველობრივი ცვლი-ლებები მიიტანეს. მათ შეიტანეს ეგვიპტეში ცხენი და ბორბლიანი ტრანსპორტი. **მაგრამ მთავარი კალენდარული რეფორმაა, რომელიც სალიტისის დროს ეგვიპტეში გატარდა, ყოველ ოთხწლედს ერთი დღე დაემატა.** თუ დავაკვირდებით შემდგომი პერიოდის მოვლენებს, როცა კალენდარული ცოდნა და სიზუსტე სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებასთანაა გაიგივებული, ეს უმაღ-ლესი სიბრძნის განდობა იყო (იხილეთ ა.ცინცაძე, „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“. როცა ერთი საუკუნის შემდეგ ჰიპოქსისები განდევნილ იქნენ, ეგვიპტემ ისევ მზის მოძრავი კალენდარი აღადგინა.)

მთავარი აქ ისაა, რომ კავკასიაში არსებობს ასეთი უდიდესი კალენდარული ცოდნის კერა. ისინი ფლობენ უფრო ზუსტ კალენდარს, ვიდრე ეგვიპტეს აქვს, აქ საუბარი არაა მხოლოდ მზის უძრავ კალენდარზე. გაცილებით მაღალი სიზუსტის, მზის ე.წ. ქართულ კალენდარს ეხება საქმე (რ. პატარიძე). **ჰიქსოსებს მიეწერებათ ანბანური დამწერლობის შემოტანაც, ისინი წმინდად ალფავიტურ წერაზე გადადიან ეგვიპტეში, ან იქნებ მათ უკვე ჰქონდათ ანბანი და მხოლოდ ეგვიპტეს შეუქმნეს იმ დროს?!** თუ გავითვალისწინებთ, ამოცანის სირთულეს, რაც მათ კალენდართან მიმართებაში გადაჭრეს, ანბანის შექმნა მათ ხელეწიფებოდათ. შუმერული თიხის ფირფიტებიც იმ დროიდან ჰემატრიულ ცოდნაზე გვიყვებიან. ფაქტობრივად სახეზეა ყველა ატრიბუტი, რაც აუცილებელია კალენდარული ცოდნის სიტყვაში დაფარვისთვის.

ძველ ქართულში ჩარჩენილი კალენდრის სიტყვაში დაფარვის ტრადიცია, სულ მცირე, ამ პერიოდიდან უნდა იღებდეს სათავეს. **(ყურადღება: ეს ნიშნავს, რომ ქართული ანბანი არსებობს. წიგნში – „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“ მტკიცდება: არაა გამორიცხული, რომ ქართული ანბანი ძვ.წ.აღ. 1892 წელს იყოს შექმნილი.)**

ეგვიპტეს ჰიქსოსები 1650-1550 წლებში მართავდნენ. ძვ.წ.აღ. მეორე ათასწლეულის შუაწლებიდან ეს ტომები მითანის სამეფოს აყალიბებენ, ჩრდილო მესოპოტამიაში.

„მითანის სამეფო, რასაც ისინი ქმნიან იგივე, მზის ამოსვლის გადახრის კუთხის რიცხვს, 47-ს ატარებს ჰემატრიულად, რასაც იმეორებენ „ქალდაი“-დან შემდგომ ნაწარმოები – „ქალდეა“, ასევე „იბერია“ და „არიელი“. ეს ერთიანი ფესვი და ძირია. (ვიყენებთ ჰემატრიის უმარტივეს ალგორითმს, ჰემატრია ბიბლიის გაშიფვრის ერთ-ერთი, ყველაზე საიმედო მეთოდია, რომლის და საერთოდ, ჰემატრიის ძველ ქართულში არსებობა მტკიცდება წიგნში: ა. ცინცაძე, „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“, 2013):

მ(13) ი(10) თ(9) ა(1) ნ(14) – ი,

13 + 10 + 9 + 1 + 14 = 47.

(ფრჩხილში ანბანში ასო-ნიშნების რიგითი სათვალავებია მითითებული.)

ი(10) ბ(2) ე(50 რ(19) ი(10) ა(1),

10 + 2 = 5 = 19 + 10 + 1 = 47,

ქ(24) ა(1) ლ(12) დ94) ე(5) ა(1),

24 + 1 + 12 + 4 + 5 + 1 = 47,

ა(1) რ(19) ი(10) ე(5) ლ(12) –ი,

1 + 19 + 10 + 5 + 12 = 47.

არიელი = იბერია = ქალდეა = მითანი = 47.

ეს მზის თაყვანისმცემელი ხალხის და მათი ერთიანობის ნიშანია. 47 – მზის ამოსვლის გადახრის კუთხეა წელში. ამ გზავნილის ხელოვნურობა ეჭვსგარეშეა.

ჰიქსოსების მცდელობას მზის უძრავ კალენდარზე გადაიყვანონ ეგვიპტე და ძველ ქართულში აღმოჩენილი დაფარული – იგივე მზის კალენდრები, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმ გზას, საიდანაც ეგვიპტეში მზის კალენდარი შევიდა. ამ კალენდრების სამშობლო იბერიულ-კავკასიური არეალია (ა. ცინცაძე, „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“, 2013).

„ტერმინი ქალდაი დაკავშირებულია ხურიტულ, შუმერულ, ლაზურ, სვანურ... სამყაროსთან. (მისი) მთავარი ღვთაება იყო იშთარი ანუ შუმერულ-ურუქული ინანა – „ქალღმერთი მამა“, როგორც მას მოიხსენიებენ „ჰამურაბის კანონები.“ ინანას საკრალური რიცხვია 12, ხოლო საკრალური ცხოველი ძუ ლომი. სხვათა შორის უძველესი ქართული მონეტის, კოლხური თეთრის განუყოფელი ნიშანიც ძუ ლომი იყო. ქართველთა წინაპრები წარმართობის ხანაში უპირველეს ქალ-ღვთაებას ნანას ეძახდნენ. ნანა დღესაც დასავლეთ ქართულად დედას ნიშნავს.“ („ქართველთა წარმოშობა“, ინტერნეტ-გამოცემა). დააკვირდით ამ ტექსტის უმნიშ-ვნელოვანეს სიტყვებს (ლომი, ინანა, ნანა (ნანაია, იავ ნანა)) და რიცხვს 12-ს, კვლევებით დადასტურდა მათი ერთიან რიცხვულ საფუძველზე შექმნა (ა. ცინცაძე, „ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა“).

ჰემატრიულად მიკვლეული ფაქტების გათვალისწინებით (იხილეთ: ა. ცინცაძე, „ყოველი საიდუმლოი... ამას ენასა შინა“) ჰიქსოსები კავკასიიდან, უფრო კი, საქართველოს მთიანეთიდან წასული ტომებია, რომლებმაც გარკვეულად შეცვალეს იმდროინდელი ეგვიპტური სამყარო. ამის დადასტურებაა ის ცოდნაც, რაც მზის კალენდრებთან მიმართებაში მთის დიალექტებში იშიფრება (განსაკუთრებით, მთა-თუშეთშსა და ხევსურეთში).

ასეთი გლობალური ჰიპოთეზიების, თუნდაც, რომელიმე მათგანის სხვა, გარდა ჰემატრიისა პირდაპირი მამტკიცებელი წყარო არ არსებობს (არც შეიძლებოდა არსებულიყო), მაგრამ ისინი კომპლექსურად ხსნიან:

– მიგრანტთა დიდი ნაკადის არსებობას (მუშქების (მესხები) გამოჩენა მცირე აზიასა და შუამდინარეთში, ეგვიპტეში);

– ხელდასხმულთა ინსტიტუციონალური, დაფარული ერთობის წარმოქმნას;

– ქურუმთა ერთიანი კასტის წარმოქმნას (ეგვიპტე, შუამდინარეთი, ხმელთაშუა ზღვა – იბერია);

– ღმერთების სახელთა გავრცელებას; მათი ერთიანი, ჰემატრიულად დაფარული სქემის არსებობას; (ებრაული ჰემატრიის წესები უფრო ცხადად და გაცილებით მაღალი სარწმუნოებრივი ინფორმაციით ქართულ ენაში ფიქსირდება);

– ბაბილონის გოდოლის ბიბლიური სურათის შექმნას;

– კავკასიაში ჩასახული ერთღმერთიანობისკენ შუმერ-ბაბილონის თანმიმდევრულ სვლას;

– მეფე ნაბუქოდონოსორის კარზე მომხდარ ბიბლიურ მოვლენებს; ქურუმთა ფანატიკური კასტის მისწრაფებას სარწმუნოებრივი კატაკლიზმებისკენ, ბიბლიური აბრამის „აღთქმასა“ და ამ პროცესების შემდგომ გავითარებას;

– კოლხურ-მოსხური-იბერიული (საერთოკავკასიური) წარმომავლობის წარმართობისდროინდელ რიტუალურ-მისტიური საფუძვლების ქრისტიანობაში გამოჩენას;

– ქრისტეშობისას მოგვების (მესხთა) გამოჩენას მცხეთას;

– ქართული ანბანის, ჰემატრიის, კაბალას დაფარულ არსებობას და ა.შ.

მეფე ნაბუქოდონოსორის შემდეგ ერთღმერთიანობის იდეის გატარებისკენ მიმართული ძალისხმევა უკვე ისტორიული ფაქტია.

ბაბილონის გოდოლის ეპოქამ დიდწილად განაპირობა ის პროცესები, რომლებიც შემდეგ წინარექრისტიანულ საქართველოში გავითარდა. თუ თვალს გავადევნებთ ბიბლიურ გენეტიკურ ტაბულებს („ქართველთა წარმოშობა“, ინტერნეტ-გამოცემა), **აღმოვაჩენთ, რომ თუ დღეს ბიბლიურ ხალხთა თავშეყრის ერთი ადგილი გვინდა დავასახელოთ – ეს საქართველოა!**

„მეშექი – მესხი – ეს მოდგმა თანამედროვე ქართველთა, იგივე იბერიელთა ძირითადი ბირთვია. მათი ძირძველი განსახლებისა და მოძრაობის არეალი ემთხვევა მესოპოტამია-მცირე აზია-კავკასიის ფარგლებს... მუშქენუმ – ასე ეწოდებოდა ამორევულ ბაბილონში ტაძრეულ-ქურუმულ ფენას, რომელიც თარგმანში „პირქვე დამხობილს“ ნიშნავს, ეს ერთი მხრივ მუშქენუ-

მების მღვდელ-მსახურებაზე მიანიშნებს და, მეორე მხრივ, იმ ისტორიულ ფაქტსაც ასახავს, რომ უძველესი ცივილიზაციის აკვანი შუმერული მესოპოტამია (ბაბილონმა) პირქვე დაამხო." („ქართველთა წარმოშობა", ინტერნეტ-გამოცემა). ქალდეაში ბიბლიური მოვლენების (მისიის აღსრულების?!) შემდგომ უკუშემოქცევის ჟამი დადგა... ძვ.წ.აღ. ბოლო ათასწლეულში ქალდეებს უკვე კაბადოკიაში ვხედავთ (კირიონი); „მუშქების (მესხების) შთამომავალნი იყვნენ კაბადოკიელნი." ძვ.წ.აღ. მეექვსე საუკუნის მერე მათი საქართველოში დაბრუნება ფაქტია. „ძვ.წ.აღ. მეექვსე საუკუნეში მუშქების ყველაზე შეურყვნელად გადარჩენილი, არაასიმი-ლირებული ნაწილი ებრაელებთან ერთად საქართველოში მოვიდა..." და დაესახლა მცხეთას. **ქართული ანუ მუშქური ენა (!!!), მეგრულ-სვანურთან ერთად, შუმერული (ძვ. ქალდეური), აბრაამის წინაპართა ენის გენეტიკური ნათესავია, წარმომდგარი ერთი ენიდან (!!!)."** სწორედ მცხეთის მამასახლისის სამარის ძმისშვილს – ფარნავაზს დაეკისრა უუდიდესი მისია, მას ეს ენა, ქურუმთა ენა უნდა გაემხილა და ასეც მოხდა – „ამან განავრცო ენა ქართლისა."

ამ ცოდნას ცოტა რამ თუ აქვს საერთო აქამენიდურ ზოროასტრიზმთან, რადგან მისგან მოტანილი უმთავრესი ლექსიკა (ტაძარი, ზვარაკი, ჯოჯოხეთი, მართალი, წარმართი, ბაგინი, დროშა, ანდერძი, დასტური და ა.შ.) ჰემატრიულ ინფორმაციას არც ატარებს. როგორც ანალიზით ჩანს, „არმაზი" მხოლოდ ლექსიკურად ემსგავსება „აჰურამაზდა"-ს და მისი ჰემატრია ადგილზე იქმნება. მაგრამ მათ მხოლოდ ენა არ მოჰქონდათ...

„მცხეთაში მოიტანეს (იმ დროს) წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი." ეს უკვე მზის კალენდართან დაკავშირებულ ინფორმაციაზეა საუბარი, რომელიც მეორედ მოსვლის სასწაულს უკავშირდება (იხილეთ: ა. ცინცაძე, „ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა"). ზის კალენდრის თაობაზე ცოდნა ამ ფაქტების მტკიცების უმთავრესი და ურყევი არგუმენტი ხდება.

„ფარნავაზის დროს... მომხდარა რეფორმა კალენდრისა, შემოღებული იქნა... ეროვნული წელთაღრიცხვა, რომლის დასაბამად მიღებულია 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა (?) ... ცნობა, რომ ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა (?), ქრონოლოგიურად ემთხვევა ამ ხანას, კალენდა-რული რეფორმისა და ქართული ადგილობრივი წელთაღრიცხვის შემოღებას, 284 წელს." (პ.ინგოროყვა) დიდი ეროვნული მისია, ძველის უარყოფა და ახლის დამკვიდრება, თავისთავად, დიდი ადამიანური ცოდვის ზიდვას უკავშირდება. როგორც ჩანს, ქართველთა მეფეს, ფარნავაზს ამირანის (პრომეთეს) სიმძიმის ცოდვა უნდა ეკისრა. თუ პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და ხალხს მიჰგვარა, ფარნავაზს ღმერთების დაფარული საიდუმლო (ქურუმ სწავლულთა) დაფარული ენა, და უკვე მომზადებული ქართული (უზუსტესი) კალენდარი, იქნებ ყველაფერი ეს ერთად, ხალხისთვის უნდა გაემხილა. ამისთვის გაამეფეს ფარნავაზი. „ნათელხილული" და „განპირობებული" იყო მისი და მისი ქვეყნის მომავალი. განდობილთა შორის, ალბათ სამარიც ერია. თუკი ისტორიული წყაროები არაფერს ამბობენ, და ეს იმდენად საიდუმლოდ უნდა მომხდარიყო, კვალს არც დატოვებდნენ, ამ ჰიპოთეზის მტკიცებაში მხოლოდ ჰემატრია შეგვიძლია მოვიშველიოთ. ფარნავაზის ხანაში, უფრო მეტიც, მის წინა პერიოდში, ჰემატრიის აქტიური გამოყენება ფაქტია და ესეც არგუმენტია (თ. ჩხენკელი, „მშვენიერი, მძლევარი", 1986).

ფარნავაზ მეფე ღმერთკაცად იქცა და...

„შუმერები მეფეებს სიცოცხლეშივე აღმერთებდნენ." (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია)

გარიგება შედგა, ფარნავაზმა დიდი მისია იკისრა...

მეფის სახელში გაჩენილი რიცხვი 666 (თ. ჩხენკელი, 666 – ტიტანის, დამყარებულ წესრიგთან მებრძოლი ღმერთკაცის რიცხვი წინარექრისტიანულ ბერძნულ და როგორც ჩანს, ქართულ ჰემატრიაშიც), სწორედ იმ ფუნქციის ტარების ნიშანია, იგი გაამეფეს და მძიმე ტვირთიც დააკისრეს. განძიც როგორ დროულად იპოვა (?!), თუკი ასეთი ურიცხვი განძი, გნებავთ მისი მფლობელი საქართველოში არსებობდა მატიანე რატომ დუმს მასზე? ან რად არ მოიკითხა დანატოვარი? ასეთი დროული ღვთის, ქურუმთა(?!) საჩუქარი ქართულ ისტორიაში უპრეცედენტოა, რომლის დახმარებითაც განხორციელდა „სიზმარში ხილული". ამიტომაც აღმოჩნდა ჰემატრიულად შექმნილი სიტყვები, ქურუმთა ენის ნაშთები ქართულში, ამის გარეშე ქურუმთა გაქრობას, მათი ენის დაკარგვა უნდა მოჰყოლოდა. მოგვიანებით, ეს მაინც მოხდა, მაგრამ ახლა უკვე ჩანს, რომ არც ისე მარტივი გახლდათ ქართულ ენაში ქურუმთა მიერ დამარხული ფესვის ამოთხრა, მან ისევ იჩინა თავი. ასეთი გახლავთ, ამ ბიბლიური დონის და ბიბლიის გარეთ დარჩენილი, გარიგების ისტორია. ასეთი გახლავთ ცის შვილების უამბობელ ამბავთა ისტორია.

საქართველოს ისტორიის მკვლევარნი მეფის მიერ ქვაბში განძის პოვნას მისტერიალურ

სიბრძნესთან, მზე ღმერთის საიდუმლოსთან ზიარების სიმბოლოდ თვლიან, თუმცა ეს კი არ გამორიცხავს, არამედ ამყარებს ამ ფაქტის უკან სრულიად მატერიალური გარიგების ამბავს. თანაც მას მზე ღმერთის ადიარების, მისტერიალური, აქამდე დაფარული სიბრძნის გამხელის პროცესი მოჰყვა.

ძვ.წ.ა. 284 წელს, იქამდე დაფარული მზის ქართული კალენდარი, ქურუმთა ფარული ენა, ქართველი ხალხის საკუთრება გახდა, განხორციელდა დიდი სახელმწიფოებრივი და მსოფლმხე-დველობრივი რეფორმა. **ფარნავაზის დროს გამხელილი და განვრცობილი იქნა იქამდე ფარულად შენახული ქურუმთა ჰემატრიული, ნათელხილვით შექმნილი ენა. და უპირატესად ეს ქალდეადან ამოტანილი ცოდნის მატარებელი ენა იყო...**

გამოდის, რომ მაშინ **მთელი ენობრივი ძირი თვისობრივად შეიცვალა, მაგრამ ამ პროცესმა უმტკივნეულოდ ჩაიარა, იმდენად კარგად იყო ყველაფერი მომზადებული და გათვლილი (ამაზე დაყრდნობით წარმოიშვა შემდეგ ძალადობრივი „ქართიზაციის პროცესის“ ილუზია).**

„... და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“(?!).

„არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა.“ (თეიმურაზ ბატონიშვილის ჩანაწერი, გ.შარაძე, „თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება“). „ანბანი ქართველ ხალხს ფარნავაზზე გაცილებით ადრე უნდა ჰქონე-ბოდა.“ (ს.გიორგაძე, „წერილები საქართველოს ისტორიიდან“, გვ.74).

ამის სრულიად ნათელი დადასტურებაა ფარნავაზისა და მისი ბიძის ჰემატრიულად შექმნილი სახელები. მისი ბიძის, მცხეთელი მამასახლისის სახელი „სამარ“, იგივე რიცხვს – 666-ს ატარებს, მხოლოდ უკვე თვლის შვიდობით სისტემაში. რიცხვს სიტყვაში ვერ დაშიფრავ, თუ ანბანი არა გაქვს, ე.ი. „სამარი“-ს დაბადებისას ანბანის არსებობა ფაქტია.

ფარნავაზის მეფობისას იბერიულ-კავკასიური ძირის, ქალდეველთა, მესხთა ხელშეწყობითა და რაც მთავარია, ინტელექტუალური მხარდაჭერით დაარსდა ერთიანი წინარექრისტიანული ქართული სახელმწიფო. დაბრუნდა და გამხელილი იქნა ქალდეადან ამოტანილი ზოგადსა-კაცობრიო ღირებულების სიბრძნის ნაწილი – ენა, ძველი ქართულის უმნიშვნელოვანესი და სარწუმოებრივი ლექსიკა, ქურუმთა, ღვთიშვილთა ენა. ქალდეადან ამოტანილ ცოდნას მასზე ორგანულად მორგებული, მისი ძირი და პირველადი ფესვი – იბერიული ენა დახვდა. მათი სინთეზი ეს ძველი ქართულია;

ძველ ქართულში – ქურუმთა ენა ორგანულად განივთდა, გამთლიანდა.

სიტყვიერი მზის კალენდარი (ა. ცინცაძე) და წელთაღრიცხვა ქრისტეშობას მოჰყვა;

წინარექართული ანბანი და ჰემატრია საიდუმლოდ დარჩა; თუ ანბანი ქრისტიანობის სახელმწიფო დონეზე მიღებამდე უნდა დაფარულიყო (და ასეც მოხდა), ჰემატრია – მეორედ მოსვლის წინა ჟამს ელოდებოდა.

სულიერი მისიის სრული სქემა ასეთია:

ძვ.წ.აღ. მეექვსე საუკუნე (ქალდეა):

„ბაბილონის ტყვეობა“;

ცოდნის გამხელა;

კაბალისტთა ენის, ძველი ივრითის გამხელა.

ბიბლიის თანახმად 3000 ებრაელი ყმაწვილი ჩაჰყავთ ბაბილონში, ასაჭურისებენ და მაჯაგანით ასწავლიან ძველ ივრითს, კაბალისტების ენას. გადასცემენ მათ უდიდეს ღვთიურ ცოდნას (მათ შორის ცოდნას მზის მოძრავი კალენდრის თაობაზე). მზადდება ქრისტეშობის ბიბლიური წინაპირობა წმინდა მიწაზე. ამ ყველაფრის უკან იბერიელ და „ქალდეველ ქურუმთა ფანატიკური კასტა იდგა“. (ც. ინწკირველი).

ფარნავაზის მეფობა (ძვ.წ.აღ. მესამე საუკუნე):

ბიბლიური ხალხების ერთიანი სახელმწიფოს შექმნა (საქართველო, ღმერთების მიწა); ერთიანი სარწმუნოებრივი სივრცის შექმნა, „ერთი რჯული“, ბიბლიური ხალხები თავს იყრიან „ღმერთების მიწაზე“ – საქართველოში;

ქურუმთა ფარული ენის გამხელა.

ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით. იკვრება ერთიანი ქართული სახელმწიფო, რამეთუ ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული“, ეს ქალდეადან ამოტანილი, ქურუმთა ფარული ენა იყო. დაძლეული იქნა სარწმუნოებრივი განსხვავება და ღმერთების მიწაზე ბიბლიური ხალხების სახელმწიფო აღდგა. ამ ყველაფრის უკანაც ქალდეველ და იბერიელ ქურუმთა კასტა იდგა. მეფე ფარნავაზის დროს გამხელილი ძველი ქართული ჰემატრიულად შეიცავდა დაფარულ ინფორმაციას მიწაზე ხორციელი ღმერთის მოვლინების ადგილისა და დროის თაობაზე. **რეალურად არავითარი ე.წ. „ქართიზაციის პროცესი“ არ ყოფილა,**

ეს იყო ბიბლიურ ხალხთა თავმოყრა „ღმერთების მიწაზე“, ერთი საერთო ქურუმთა ენისა და ანბანის გარშემო; ეს იყო მზადება „ერთი, ჭეშმარიტი რჯულისთვის“.

დაახლოებით 0 წელი (ისრაელი, წმინდა მიწა):

ქრისტეშობა;

უზუსტესი, მზის ქართული კალენდრის გამხელა;

ქართული წელთაღრიცხვის შემოტანა.

წმინდა მიწაზე ქრისტეშობის ღვთიური სასწაული აღსრულდა, რამდენად შევიდა ძალაში მზის უზუსტესი ქართული კალენდარი სხვა საკითხია, რადგან მყისიერად არც მაცხოვარის აღიარება მომხდარა. ლოგიკურად მაღალალბათურია, რომ ჩანაფიქრი ასეთი უნდა ყოფილიყო. ამ სასწაულსაც ქალდეადან წინარექრისტიანულ საქართველოში ამოსული მოგვები (ქურუმები) მიეგებნენ პირველნი.

ახ.წ.აღ. მეოთხე საუკუნე:

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება;

ანბანის გამხელა;

(ამიტომაც არ ჩანს მეოთხე საუკუნემდე ქართულენოვანი წარწერები, და თუ მიკვლეული იქნა, იქნება მხოლოდ ცალკეული ასო-ნიშნები და არა ერთიანი სისტემა.)

მემატიანე მირიან მეფის გაქრისტიანების სასწაულს მხოლოდ ღვთიურ მოვლენებს მიაწერს, მაგრამ მის უკანაც საკმარისად ცხადად იკითხება ღვთიშვილთა (ქურუმთა) კვალი. ამის შემდეგ ქურუმებთან დაპირისპირება პერმანენტულ ხასიათს იღებს. ეს ეტყობა კიდეც შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიას. მაგრამ პროცესი უკვე გასული იყო ადამიანური შესაძლებლობისა და ლოგიკის ჩარჩოებიდან.

დღეს დიდი საიმედობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობდა იბერიულ-კავკასიური (ქართული) ცივილიზაცია, არსებობდა ქართული წელთაღრიცხვა, მზის კალენდრებს წინარექართული ფესვები აქვთ; არსებობდა ქართული მოქცევა, იგი 128-წლიანია; იცვლება ქართული დასაბამითგანი, რომელიც ძვ.წ.აღ. 5492 წელია, ქართული ანბანის შესაქმე სულ მცირე 1500 წლით იწევს წარსულის მიღმეთში, მისი შექმნის უახლოესი ზღვარი ძვ.წ.აღ. 1000 წელია, ხოლო სავარაუდოდ, იგი ძვ.წ.აღ. მეცხრამეტე საუკუნეშია შექმნილი; მიკვლეულია ქურუმთა ფარული ენა, რომლის ძირი ძველი ქართულია, იგი სრულად მოიცავს იმ ცოდნას, რაც აქამდე შუმერ – ბაბილონის (ქალდეა) მიღწეულ დონედ ითვლებოდა. თუ აქამდე ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ტრადიციასა და ყოფაში ჩარჩენილი უძველესი რიტუალები უდიდესი ცივილიზაციის არსებობის კვალს აჩვენებდნენ, ძველი ქართულის გაშიფვრამ, და მასში მიგნებული სიბრძნის გაცხადებამ, ეს ცივილიზაცია რეალურ კონტურებში აღადგინა.